



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 779
27/04/2018

ქალაქი ბათუმი

779-05-4-201804271125



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური ტელეფონების ხარჯების თვიური ლიმიტი თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 18 იანვრის №21 ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა